



[RSS](#)



- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [კომენტარი](#) / ხუდონჰესის პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა
2014.02.15

ხუდონჰესის პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა

[კომენტარი](#),
დავით ჭიკაშვილი,
„მწვანე ალტერნატივა“

მშენებლობის ეტაპზე კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად გადაიხდის არა ანგარიშში მოცემულ 26.3 მილიონ ლარს, არამედ 12.84 მილიონ ლარს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში მაკდონალდსის კონტრიბუციაზე (33,7 მილიონი ლარი) თითქმის სამჯერ ნაკლებია;



2. ექსპლუატაციის ეტაპზე კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად გადაიხდის (სულ მცირე, პირველი 10 წელი) 19.224 მილიონ ლარს, ნაცვლად ანგარიშში მოცემული 22.7 მილიონი ლარისა.



3. მშენებლობის დაწყებიდან მინიმუმ 20 წელი ხუდონი მოგების გადასახადს საერთოდ არ გადაიხდის;
4. ინვესტორის მტკიცებით, ყოველწლიურად 200 მილიონი დოლარის ინვესტირება 1.1%-ით გაზრდის ქვეყნის მშპ-ს მაჩვენებელს, ვინაიდან დროის რაღაც პერიოდში განხორციელებულმა 1-მილიარდიანმა ინვესტიციამ გამოიწვია 5.5%-იანი ზრდა, - მსგავსი პირდაპირი კორელაცია ინვესტიციებსა და მშპ-ს ზრდას შორის არ არსებობს.
5. არ არის დაანგარიშებული და გაანალიზებული პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მთლიანი სარგებლის დღევანდელი ღირებულება (Present Value);
6. იმ შემთხვევაში, თუ ხუდონის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია დეფიციტის დაფარვის მიზნით დარჩება საქართველოში იმ ტარიფად, რაც განისაზღვრა ხელშეკრულებაში (9.5 თეთრი), ის უცილობლად გამოიწვევს ელექტროენერჯის ტარიფის ზრდას;
7. ხუდონის ტარიფი (დაახ. 1 კვტ/სთ - 10 თეთრი) 9-ჯერ აღემატება ჟინვალჰესის ტარიფს (1 კვტ/სთ - 1.48 თეთრი);
8. ხუდონის ტარიფი (დაახ. 1 კვტ/სთ - 10 თეთრი) 9-ჯერ აღემატება ენგურჰესის ტარიფს (1 კვტ/სთ - 1.48 თეთრი);
9. ხუდონის ტარიფი (დაახ. 1 კვტ/სთ - 10 თეთრი) აღემატება ჯიფაურის საკუთრებაში არსებული გარდაბნის თბოელექტროსადგურის ტარიფს (8.48 თეთრი);
10. თუ ხუდონჰესი აშენდა, იგი საქართველოს ენერჯის სექტორს მიაწოდებს მხოლოდ 4 დღის საკმარის ელექტროენერჯას;
11. ხუდონჰესის მიერ მოწოდებული 4 დღის საკმარისი ელექტროენერგია ენერგოდამოუკიდებლობას ვერ უზრუნველყოფს.
12. ენერგოდეფიციტს 133.9 მლნ კვტ/სთ ვერ დაფარავს.
13. ხუდონჰესის გამო სახელმწიფომ ინვესტორს 650 მილიონი ლარის ქონება ისე აჩუქა, რომ წილიც არ მოუთხოვია;

14. შეუძლებელია სამშემოსავლო გადასახადი შეადგენდეს 21.53 მილიონ ლარს, როგორც ეს გზმანგარიში არის წარმოდგენილი. მოცემული ოდენობის სამშემოსავლო გადასახადის გადახდა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ყოველწლიური სახელფასო ფონდი დაახლოებით 107.65 მილიონი ლარი იქნებოდა, რაც 6 წლის განმავლობაში (მშენებლობის ხანგრძლივობა) შეადგენს 646 მილიონ ლარს და მთლიანი განსახორციელებელი ინვესტიციის 33.6%-ია. ეს კი წარმოუდგენელი ასეთი მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტისათვის. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ინვესტორი ჰესს კი არ აშენებს, არამედ მხოლოდ ხელფასებს იხდის, რაც აბსურდია.



თქვენი რეკლამა აქ!
 დარეკეთ 296 08 30, ან მოგვწერეთ
 info@netgazeti.ge

Like 87

0

0

ამავე თემაზე:

- [კითხვები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის თაობაზე](#) 2014.05.02
- [სამღვდელოების არაფორმალური მმართველობისთვის პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია](#) 2014.05.02
- [რისი გეშინიათ?](#) 2014.05.01
- [ეკა ბესელია: კონსულტაციები მაქვს როგორც ეკლესიასთან, ასევე, უფლებადამცველებთან](#) 2014.04.27
- [ხინკალი მიყვარს, პიცა არა... სიყვარულიდან სიძულვილამდე...](#) 2014.04.25
- [დისკუსია: წინასაარჩევნო პოლიტიკური კულტურა \[Video\]](#) 2014.04.24
- [“დაცარიელებული თბილისი” - ჩვენ და სხვები](#) 2014.04.21

კომენტარი

AROUND THE WEB

WHAT'S THIS?

<p>SmartAsset</p> <p>The 50 Worst Charities in America: How to Keep From Being Scammed</p>	<p>YJNews</p> <p>Boy shows his father photos of his mother in bed with another man</p>	<p>TravelPony</p> <p>The Secret Way to Save Hundreds of Dollars on 5-star hotels</p>
--	--	--

Womanitely

10 Obvious Signs a Guy Is Flirting with You

ALSO ON NETGAZETI

- [პატრიარქის საადღვამო ეპისტოლე](#) 1 comment
- [დეპუტატები, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული ...](#) 3 comments
- [დაპირისპირება ფერადი ტრანსფარანტის გამო პარლამენტთან](#) 3 comments
- [პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი დაამტკიცა](#) 2 comments

3 Comments Netgazeti Login ▾

Sort by Best ▾ Share Favorite